

მათემატიკა

სახელმძღვანელო

2



1• ელი ნაწილი



AZƏRBAYCAN RESPUBLİKASININ DÖVLƏT HİMNİ

Musiqisi *Üzeyir Hacıbəylinin,*
sözləri *Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadırız!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!

Minlərlə can qurban oldu,
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



კეიზარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

ზაურ ისაევი, მენსურ მჰკერემოვი, გუნაი ჰუსეინოვა,
სოლმაზ აბდულლაევა, ილაკი რუსტემოვა

მათემატიკა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
მე-2 კლასებისათვის მათემატიკის
საგნის სახელმძღვანელო
(1-ელი ნაწილი)



©Azərbaycan Respublikası Elm və Təhsil Nazirliyi



**Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0
International (CC BY-NC-SA 4.0)**

Bu nəşr Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0 International
lisenziyası (CC BY-NC-SA 4.0) ilə www.trims.edu.az
saytında əlçatandır. Bu nəşrin məzmunundan istifadə edərkən
sözügedən lisenziyanın şərtlərini qəbul etmiş olursunuz:

İstinad zamanı nəşrin müəllif(lər)inin adı göstərilməlidir. 

Nəşrdən kommersiya məqsədilə istifadə qadağandır. 

Törəmə nəşrlər orijinal nəşrin lisenziya şərtlərilə yayılmalıdır. 

გთხოვთ ამ გამოცემასთან დაკავშირებული
თქვენი შენიშვნები და წინადადებები გამოგზავნოთ
artitrm2017@gmail.com და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

1

რიცხვების შედარება. რიგითობა (100-მდე)



გაიხსენეთ	8
1. რიცხვების შედარება	10
ამოცანები	13
2. რიგითობა	14
განმაზოგადებელი დავალებები .	16

2

შეკრება (100-მდე)

გაიხსენეთ	18
3. ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვის შეკრება	20
4. ათეულების შეკრება	23
5. ორნიშნა რიცხვების შეკრება . . .	26
განმაზოგადებელი დავალებები .	28



3

გამოკლება (100-მდე)

გაიხსენეთ	30
6. ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვის სხვაობა.	32
7. ათეულების გამოკლება	34
ამოცანები	37
8. ორნიშნა რიცხვების სხვაობა . . .	38
განმაზოგადებელი დავალებები .	41



4

გამრავლება და გაყოფა




9. გამეორებითი შეკრება	44
10. გამრავლება	46
ამოცანები	48
11. ტოლად განაწილება. გაყოფა	49
12. გამეორებითი გამოკლება	51
13. კენტი და ლუწი რიცხვები	54
განმაზოგადებელი დავალებები	56

5

გეომეტრიული ფიგურები

14. წრფე და კუთხე	58
15. მრავალკუთხედი	61
16. წახნაგი, წიბო და წვერო	64
17. დაჯგუფება	67
განმაზოგადებელი დავალებები	69



6

შეკრება

(ახალი ათეულის წარმოქმნა)



18. ორნიშნა რიცხვის ერთნიშნა რიცხვთან შეკრება	70
19. ორნიშნა რიცხვების შეკრება	73
ამოცანები და მაგალითები	75
20. სამშესაკრებიანი გამოსახულებები	76
განმაზოგადებელი დავალებები	79

1-ელი ნახევარწლის განმაზოგადებელი დავალებები	80
ლექსიკონი	82
ამოცანის ამოხსნის ნიმუში	84

გაეცანით სახელმძღვანელოს



გაიხსენეთ

განყოფილებასთან დაკავშირებული პირველი კლასში შესწავლილი ცოდნისა და უნარების გამოვლენა

საპირაპრო სიტყვები

თემასთან დაკავშირებული ახალი სიტყვები

მეზუზური

ნიმუშის საფუძველზე შესრულებული დავალებები

დამოუკიდებელი სამუშაო

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

გამოკვლევა-განხილვა
კლასთან გამოსაკვლევი და განსახილველი სურათიანი ამოცანა

4 გამოკვლევა და გამოცანა

9 გამოვლენითი შეკრება

გამოკვლევა-განხილვა

საქონლის სიტყვები:

- საფრინოს ვაჭრობა
- ვაჭრობის რაოდენობა
- გამოვლენითი შეკრება
- რიცხვითი თემა

ლაღვე ბაღიდან მოკრეფილი ვაშლები თევზებზე დააწყო.

- სულ რამდენი ვაშლია თევზებზე?
- როგორ შეიძლება ამის უფრო სწრაფად პოვნა?

შესწავლა

თუ რამდენიმე ჯგუფში ტოლი რაოდენობის საგანია, მათი საერთო რაოდენობა რიტმული დათვლით ანუ გამოვლენითი შეკრებით შეიძლება ვიპოვიოთ.

თითოეულ ჯგუფში ბუნტების რაოდენობა: 2
ჯგუფების რაოდენობა: 4

• რიტმული დათვლით: 2, 4, 6, 8

• ჯგუფების რაოდენობით განმეორებითი შეკრებით: $2 + 2 + 2 + 2 = 8$

თითოეულ ჯგუფში 2 ბუნტი 4 ჯგუფში სულ 8 ბუნტია.

მეზუზური

გამოვლენითი შეკრებით იპოვეთ საერთო რაოდენობა. შეამოწმეთ პასუხი რიტმული.

გამოვლენა

შემოწმება: 3, 6, 9, 12, 15

$3 + 3 + 3 + 3 + 3 = 15$

ა) ბ) გ)

დამოუკიდებელი სამუშაო

- განსაზღვრეთ ჯგუფების და თითოეულ ჯგუფში საგნების რაოდენობა. იპოვეთ საგნების საერთო რაოდენობა.
- გამოვლენითი შეკრების შესახებ მაგალითის დაწერით გამოიყვანეთ წერტილების რაოდენობა.
- ამოხსენით მაგალითები. შეამოწმეთ თქვენი პასუხი რიტმული დათვლით.

ა) $2 + 2$
 $2 + 2 + 2$
 $2 + 2 + 2 + 2$
 $2 + 2 + 2 + 2 + 2$
 $2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2$

ბ) $3 + 3$
 $3 + 3 + 3$
 $3 + 3 + 3 + 3$
 $3 + 3 + 3 + 3 + 3$
 $3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3$

გ) $4 + 4$
 $4 + 4 + 4$
 $4 + 4 + 4 + 4$
 $4 + 4 + 4 + 4 + 4$
 $4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4$

ამოცანის ამოხსნა

4. ანდრეის ალბომის 6 გვერდიდან თითოეულზე 5 მანქანის სტიკერი დააწესა. სულ რამდენი სტიკერი დააწესა მან ალბომში?

5. ელზას, ლალასა და სენზის თითოეულს 7 მანათი აქვს. მათ საირას დაბადების დღეზე 20 მანათიანი საჩუქრის შეტანა სურდათ. ეყოფათ ხავერდებს ეს დელი ამ საჩუქრის შეტანად?

მოიფიქრე!

ახალ მასალასთან დაკავშირებით საერთო განხილვისათვის კითხვა ან დავალება



როგორ შეიძლება ვიპოვიოთ წინ დათვლით: $34 + 20$ ჯამი? უზენეთი რიცხვითი ღერძზე.

ამოხსენით ამოცანები
ცოდნის განმატევიკებული ამოცანები

ამოხსენით ამოცანები

- გაიაზზე ამოცანა
- შეაფხინე გეგმა
- ამოხსენი
- შეამოწმე

გაიაზზე

განმარტობადი დავალებები
დავალებები განყოფილების ცოდნის შემოწმებისათვის

განმარტობადი დავალებები

ამოცანის ამოხსნა

ახალი ცოდნის გამოყენება

• შესაკრებების ათეულებად და ერთეულებად დაშლით, რიცხვების სამეულით გამოსახვითი ჯამის პოვნა შეიძლება.

$(34) + (20) = ?$

3 ათ. 4 ერთ. 2 ათ. 0 ერთ.

ერთეულები იკრიბება: $4 + 0 = 4$
ათეულები იკრიბება: $30 + 20 = 50$
ჯამი გამოითვლება: $50 + 4 = 54$

$34 + 20 = 54$

ამ ხერხის გამოყენებით ჯამის ზეპირად პოვნა შეიძლება.



ამოხსენით

თემასთან დაკავშირებული დამატებითი ცოდნა და წესები

რისხვების შედარება. რიგობობა (100-მდე)




მზად ვართ?

- ვინ შეაგროვა ყველაზე მეტი ნიჟარა?
- ვინ შეაგროვა ყველაზე ნაკლები ნიჟარა?
- როგორ შეიძლება ამის განსაზღვრა?


გაიხსენეთ

- რიცხვით ღერძზე რიცხვები 0-დან დაწყებული მიმდევრობით ტოლი შუალედებით განთავსდება. რიცხვები მარჯვენა მიმართულებით იზრდება, მარცხნივ კი მცირდება.




- ერთი რიცხვიდან დაწყებით გარკვეული რიცხვამდე წინ ან უკუთვლა რიტმული თვლაა. მაგალითად, 5-დან დაწყებული წინ სამ-სამად რიტმული დათვლა: 5, 8, 11, 14 ... 45-დან დაწყებული ხუთ-ხუთად რიტმულად უკან დათვლა: 45, 40, 35, 30, ...

- 6-დან დაწყებული წინ ათ-ათობით რიტმული დათვლა: 6, 16, 26, 36, ...



- 74-დან დაწყებული უკან ათ-ათობით რიტმული დათვლა: 74, 64, 54, 44, ...



- ორნიშნა რიცხვის მარჯვნიდან პირველი ციფრი ერთეულების, მეორე ციფრი კი ათეულების რაოდენობას გვიჩვენებს.

59


ორმოცდაცხრამეტი

ათეულები	ერთეულები
5	9
59	

59 = 5 ათეული 9 ერთეული

დავალებები გაიმორებისათვის

1. იპოვეთ საგნების რაოდენობა რიტმული დათვლით.



2. იპოვეთ რიცხვები.


- ა) 65-ის მომდევნო პირველი ხუთი რიცხვი გ) 48-ის მომდევნო პირველი სამი რიცხვი
 ბ) 53-ის წინა პირველი ოთხი რიცხვი დ) 32-ის წინა პირველი ექვსი რიცხვი

3. რიცხვით ღერძზე განსაზღვრეთ წერტილების შესაბამისი რიცხვები.




4. მოცემული რიცხვებიდან იპოვეთ რიცხვით ღერძზე არსებული ასოების შესაბამისები.

ა) 35, 48, 42, 57, 44




ბ) 25, 82, 78, 17, 53, 63, 32, 92, 57, 45, 67, 98




5. განსაზღვრეთ ათეულებისა და ერთეულების რაოდენობა. კუბების რაოდენობა ჩაიწერეთ რვეულში.


ა)



ბ)



გ)



6. რვეულში ციფრებით ჩაიწერეთ ათეულებად და ერთეულებად დაყოფილი რიცხვები.

ა) 8 ათ. 2 ერთ.

ბ) 7 ათ. 0 ერთ.

გ) 4 ათ. 4 ერთ.

დ) 8 ათ. 9 ერთ.

7. დაყავით რიცხვები ათეულებად და ერთეულებად.

24

36

27

89

56

71

50

62

99

72

42

30

33



8. სამირმა ჩაიფიქრა ორნიშნა რიცხვი. ამ რიცხვში 5 ერთეულია. ათეულების რაოდენობა ერთეულების რაოდენობაზე 1 ერთეულით მეტია. რა რიცხვია ეს?

9. ლალემ ჩაიფიქრა ორნიშნა რიცხვი. ამ რიცხვის ციფრების ჯამი ოთხია. რომელი რიცხვები შეიძლება იყოს ეს?

რიცხვების შედარება. რიგითობა (100-მდე)

1 რიცხვების შედარება

გამოკვლევა-განხილვა



- რომელი ბალია უფრო მეტი: წითელი თუ ყვითელი?

ჯერ სავარაუდოდ შეადარეთ, შემდეგ კი დათვლით შეამოწმეთ თქვენი პასუხი.

საკვანძო სიტყვები

- შედარება
- ორნიშნა რიცხვი
- ათეული
- ერთეული


შესწავლა

ორნიშნა რიცხვების შედარებისათვის ჯერ ადარებენ ათეულებს.

- მეტია ის, რომელშიც ათეულები მეტია, ხოლო ნაკლებია ის, რომელშიც ათეულები ნაკლებია.

ათეული	ერთეული	ათეული	ერთეული
2	7	3	2


$$27 < 32$$



- თუ რიცხვებში ათეულების რაოდენობა ტოლია, მაშინ მეტია ის რიცხვი, რომელშიც მეტი ერთეულია და ნაკლებია ის, რომელშიც ნაკლები ერთეულია.

ათეული	ერთეული	ათეული	ერთეული
3	7	3	2

$$37 > 32$$






- ორნიშნა რიცხვები, რომლებშიც ტოლი რაოდენობის ათეულები და ერთეულებია ტოლია:

$$67 = 67$$

6 ათეული 7 ერთეული = 6 ათეული 7 ერთეული

მეგზური

დათვალეთ ლურჯი და წითელი კუბები და შეადარეთ მათი რაოდენობა.



დამოუკიდებელი სამუშაო

1. განსაზღვრეთ, რომელი შედარების ნიშანი უნდა ეწეროს “*”-ის ადგილას.

ა) $20 * 30$ $27 * 37$ $5 * 50$ $67 * 25$ $29 * 29$ $78 * 87$ $55 * 15$
 $37 * 27$ $71 * 71$ $14 * 41$ $60 * 6$ $65 * 55$ $60 * 70$ $44 * 84$


ბ) $73 * 78$ $88 * 82$ $29 * 22$ $53 * 55$ $43 * 43$ $67 * 62$ $41 * 40$
 $21 * 23$ $90 * 92$ $32 * 34$ $34 * 36$ $67 * 69$ $36 * 32$ $66 * 65$

2. წრეში მოცემული რიცხვი შეადარეთ თითოეულ სხვა მოცემულ რიცხვს.


ა) 25



ბ) 56




გ) 62



3. შესაბამისი რიცხვები აღნიშნეთ რიცხვით ღერძზე და შეადარეთ ისინი.

ა) 50-ზე 1 ერთეულით მეტი რიცხვი და 60-ზე 1 ერთეულით ნაკლები რიცხვი;

ბ) 71-ზე 5 ერთეულით მეტი და 79-ზე 10 ერთეულით ნაკლები რიცხვი:



4. იპოვეთ შეცდომები.

$45 > 35$ $3 = 30$ $56 < 65$ $27 > 76$ $74 < 84$ $81 = 18$ $90 < 89$



5. რომელი რიცხვები შეიძლება იყოს ცარიელი უჯრის ადგილას? დაწერეთ თითოეულის 3 ნიმუში.

$27 > \square$

$\square < 65$

$\square < 96$

$\square > 87$

$\square < 77$

6. განსაზღვრეთ ორნიშნა რიცხვების წაშლილი ციფრები.

$9 > 89$

$68 < 6$

$3 < 32$

$4 = 8$

$3 = 6$

ამოცანის ამოხსნა

7. ვის უფრო მეტი წიგნი აქვს?



აინურა



ანარი

8. რომელ ბავშვს აქვს მეტი ფული?



ანარი



სებიწე




9. რა რიცხვი ჩაიფიქრა ჩაიფიქრა სამირმა?

ჩაიფიქრა ორნიშნა რიცხვი. ეს რიცხვი 32-ზე მეტი და 35-ზე ნაკლებია. რიცხვის ათეულები და ერთეულები განსხვავებულია.



10. ლალეს 67-ზე ნაკლები მძივი აქვს. ეს რიცხვი კვადრატშია ჩაწერილი. რამდენი მძივი აქვს ლალეს?



ამოხსენით ამოცანები

დაიბაბსოვრე



- გაიაზრე ამოცანა
- შეაღვინე გეგმა
- ამოხსენი
- შეამოწმე

1. რომელ მაგიდაზეა უფრო მეტი ბანანი? ჯერ ივარაუდეთ, შემდეგ კი დათვლით შეამოწმეთ პასუხი.



2. რომელ წინადადებაშია სიტყვების შემცველი ასოების საერთო რაოდენობა უფრო ნაკლები? ჯერ ივარაუდეთ, შემდეგ კი დათვლით შეამოწმეთ პასუხი.

- ა) უძველეს ხანაში ადამიანებს არ შეეძლოთ სახლის აშენება.
ბ) შორიდან მოჩანდა ალი, რომელმაც დომრული დააინტერესა.

3. სამირს უფრო მეტი ნაწილის მქონე ფაზლის შეძენა სურდა. რომელი ყუთი უნდა შეიძინოს მან?



4. ლალემ და მისმა ძმამ დათვლილი ვარსკვლავების რაოდენობა რვეულში ჩაიწერეს. ლალეს ჩაწერილ ორნიშნა რიცხვში 3 ათეული და 2 ერთეულია. მისი ძმის ჩაწერილ ორნიშნა რიცხვში კი 2 ათეული და 9 ერთეულია. ვინ უფრო მეტი ვარსკვლავი დაითვალა?




5. ბებია ეზოში წიწილები დაითვალა. წიწილების რაოდენობა 25-ზე მეტი, 35-ზე ნაკლებია. ამ რიცხვში ერთეულების რაოდენობა 3-ის ტოლია. რამდენი წიწილა ეზოში?



6. ანარიმ ჩაიფიქრა რიცხვი. ეს რიცხვი 65-ზე მეტი და 71-ზე ნაკლებია. რიცხვის ათეულებისა და ერთეულების რაოდენობის ჯამი 7-ია. რა რიცხვია ეს?

2 რიგითობა

გამოკვლევა-განხილვა



- რომელი წესით იყო ჩამოკიდებული გასაღებები?


განსაზღვრეთ ჩამოვარდნილი გასაღებების ადგილი.

საკვანძო სიტყვები

- რიცხვითი ღერძი
- ზრდის რიგი
- კლების რიგი
- მიმდევრობა




შესწავლა

რიცხვითი ღერძის გამოყენებით შეიძლება რიცხვების რიგითობის დადგენა. მაგალითად 47, 62 და 43 რიცხვები რიცხვით ღერძზე აღნიშვნით ნაკლებიდან მეტისაკენ ასეთი რიგითი ჩაიწერება: 43, 47, 62.





მეგზური

დაალაგეთ რიცხვები რიცხვითი ღერძის გამოყენებით.



დამოუკიდებელი სამუშაო

1. რიცხვითი ღერძის გამოყენებით დაალაგეთ მოცემული რიცხვები.





• ორნიშნა რიცხვების დალაგებისათვის მათი შედარებაა საჭირო. ამისათვის ჯერ ათეულების, შემდეგ კი ერთეულების შედარება ხდება.

– ნაკლები ათეულის მქონე რიცხვი ნაკლებია.

– თუ ათეულების რაოდენობა ტოლია, ნაკლები ერთეულის მქონე რიცხვი ნაკლებია. მაგალითად, რიცხვები 65, 47 და 63 ასე შეიძლება დავალაგოთ:



2. დალაგეთ რიცხვები ზრდის რიგით.

ა) 23, 28, 25 ბ) 27, 45, 38 გ) 93, 38, 32 დ) 78, 71, 58, 64

3. დალაგეთ რიცხვები კლების რიგით.

ა) 93, 99, 95 ბ) 15, 69, 47 გ) 57, 59, 33 დ) 66, 62, 89, 85

ამოცანის ამოხსნა

4. ლალემ საყვავილეში ყვავილი დარგო. ის 4 კვირის განმავლობაში ყვავილის სიმაღლეს ზომავდა და აღნიშნავდა. რამდენი სანტიმეტრი გახდა ყვავილის სიმაღლე მე-3 კვირაში?

12 სმ

24 სმ

5 სმ

20 სმ



1-ელი კვირა



მე-2 კვირა



მე-3 კვირა




მე-4 კვირა

5. ცხოველების შესახებ წიგნი 64, ზღაპრების წიგნი 88, მანქანების შესახებ წიგნი კი 48 გვერდია.

• სამირს სურდა წიგნები დაეწყო ერთმანეთზე სქელიდან თხელისაკენ. რომელი წიგნები უნდა დადოს მან ყველაზე დაბლა და ყველაზე მაღლა?

• რომელ წიგნებს შორის მოათავსებს სამირი 60 გვერდიან ლოგიკის წიგნს?





განმავლობადობელი დავალებები

1. შეადარეთ რიცხვები.

$24 * 42$	$50 * 40$	$45 * 45$	$97 * 70$	$70 * 60$	$66 * 99$
$34 * 44$	$63 * 37$	$72 * 87$	$61 * 60$	$60 * 59$	$59 * 50$

2. დაალაგეთ რიცხვები. განსაზღვრეთ უმცირესი და უდიდესი რიცხვები.

ა) ზრდის რიგით

$42 \quad 24$
 51

$80 \quad 67 \quad 92$
 93

ბ) კლების რიგით

$31 \quad 57$
 39

$53 \quad 58 \quad 25$
 94

3. ლალემ, აინურამ და ანარიმ ტყიდან სოკო მოკრიფეს.

სურათზე თითოეულ კალათაში სოკოების რაოდენობაა ნაჩვენები. ლალეს კალათაში ყველაზე მეტი, ანარის კალათაში კი ყველაზე ნაკლები სოკოა. რომელი კალათა ვის ეკუთვნის?




4. ბავშვებმა სამირს ბებრის ასაკი ჰკითხეს.

სამირმა თქვა:

— ბებიაჩემის ასაკი 57-ზე მეტი, 65-ზე ნაკლებია. ამ ასაკის ათეულებისა და ერთეულების ჯამი 8-ის ტოლია. რამდენი წლისაა სამირის ბებია?








5. ელხანმა და სეზინემ დათვალეს ხურდა ფული თავის ყულაბაში და ფურცელზე დაწერეს. ორივეს ფული ორნიშნა რიცხვით გამოისახა. ამ რიცხვებიდან თითოეული 4 და 5 ციფრებით იწერება. ელხანის ფული სეზინეს ფულზე მეტია. რამდენი კაპიკი იყო თითოეული მათგანის ყულაბაში?



6. საზაფხულო არდადეგებზე ანარიმ 26 მოთხრობა წაიკითხა, ლალემ-29, ხოლო სეზინემ 35. როგორ დალაგდებიან ბავშვები ნაკლებიდან მეტის წამკითხველობის მიხედვით?



შეკრება და გაშვება (100-მდე)




მზად გართ?

- რამდენი ცხვარი და რამდენი ბატკანია?
- რამდენი ცხოველია სულ?
- რამდენით მეტია ცხვარი ბატკანთან შედარებით? როგორ შეიძლება ამის პოვნა?

გაიხსენეთ

- ორი რიცხვი (ნაწილები) და მათი ჯამი (მთელი) შეადგენს რიცხვების სამეულს.



$$6 + 9 = 15$$

$$9 + 6 = 15$$

$$15 - 6 = 9$$

$$15 - 9 = 6$$

- ქვეშიწერით შეკრება

ათ. ერთ.

$$\begin{array}{r} 14 \\ + 5 \\ \hline 19 \end{array}$$

→ შესაკრები
→ შესაკრები
→ ჯამი

- ათეულად და ერთეულებად დაშლით შეკრება


$$13 + 6 = 10 + 3 + 6 \Rightarrow 10 + 9 = 19$$

- ათამდე შევსებით შეკრება

$$8 + 5 = 8 + 2 + 3 \Rightarrow 10 + 3 = 13$$

- წინ დათვლით შეკრება: $12 + 4$

12-დან 4 ერთეული წინ დათვლით 16 მიიღება: 13, 14, 15, 16 $\Rightarrow 12 + 4 = 16$



დავალებები გამეორებისათვის

- იპოვეთ ჯამი.

$5 + 6$	$9 + 4$	$15 + 2 + 2$	$11 + 3 + 4$	$6 + 6 + 5$	$\begin{array}{r} 10 \\ + 7 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 11 \\ + 5 \\ \hline \end{array}$
$8 + 4$	$8 + 10$	$13 + 2 + 4$	$10 + 5 + 2$	$3 + 12 + 3$		

- გამოთვალეთ და შეადარეთ.

$$12 + 2 * 14$$

$$10 + 7 * 20$$

$$13 + 6 * 5 + 7$$

$$10 + 6 * 8 + 8$$




$$8 + 7 * 12$$

$$15 * 11 + 5$$

$$19 * 7 + 3 + 10$$

$$7 + 3 + 5 * 8 + 7$$

3. სასწორის თევზები გაწონასწორებულია. რამდენი კუბია ქსოვილის ნაჭრის ქვეშ დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.



4. იპოვეთ ცარიელი უჯრის შესაბამისი რიცხვები.

$2 + \square = 17$

$9 + \square = 13$

$6 + \square = 19$

$\square + 6 = 18$

$\square + 5 = 15$

$3 + \square = 16$

$5 + \square = 17$

$\square + 9 = 11$

$\square + 9 = 15$

$\square + 7 = 14$

5. რომელი რიცხვები უნდა იყოს ცარიელ უჯრებში?

შესაკრები		12	2		10	5	5	7
შესაკრები	10	5	16	3	8		8	
ჯამი	20			18		12		19


6. მინდვრიდან წისქვილში დილით 9, შუადღისას-5, საღამოს კი 7 ტომარა ხორბალი გაიგზავნა. რამდენი ტომარა ხორბალი გაიგზავნა წისქვილში დღის განმავლობაში?

7. საყვავილედან 9 ყვავილის ამოღების შემდეგ 6 ყვავილი დარჩა. რამდენი ყვავილი იყო საყვავილეში თავდაპირველად?



8. სამოვარი 18 ლიტრა წყალს იტევს. 5 ლ წყლის ტევადობის ვედრო სამჯერ გაავსეს და ცარიელ სამოვარში ჩაასხეს.

- რამდენი ლიტრი წყლის ჩასხმაა დამატებით საჭირო სამოვარის გასავსებად?
- ვედრო კიდევ ერთხელ გაავსეს წყლით და სამოვარში გავსებამდე ჩაასხეს. რამდენი ლიტრი წყალი დარჩა ვედროში ზედმეტი?



3 ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვის შეკრება

გამოკვლევა-განხილვა



საკვანძო სიტყვები

- ქვეშიწერით შეკრება
- ორნიშნა რიცხვი
- ათეულების ჯამი
- ერთეულების ჯამი


თაროზე თითოეულ ყუთში 10 მანქანაა. გამყიდველმა მაგიდაზე მყოფი სათამაშო მანქანებიც თაროზე დააწყო.

- რამდენი მანქანა გახდა თაროზე?
- როგორ შეიძლება ამის პოვნა?

შესწავლა


ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვის ჯამის პოვნისათვის ჯერ ერთეულები, შემდეგ კი ათეულები იკრიბება. მაგალითად, $45 + 3 = ?$

ნაბიჯი 1. ერთეულები იკრიბება.



$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ + \quad 4 \quad 5 \\ \hline \quad \quad 8 \end{array}$$

ნაბიჯი 2. ათეულები იკრიბება.



$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ + \quad 4 \quad 5 \\ \hline 4 \quad 8 \end{array}$$

5 ერთეული + 3 ერთეული = 8 ერთეული

4 ათეული + 0 ათეული = 4 ათეული


ყურადღება!

ერთნიშნა რიცხვში ათეულების რაოდენობა ნულის ტოლია.

$$45 + 3 = 48$$



როგორ შეიძლება წინ დათვლით $45 + 3$ ჯამის პოვნა? უჩვენეთ რიცხვით ღერძზე.



მეგზური

დაწერეთ გამოსახულების შესაბამისი მაგალითები და ამოხსენით.

• ნიმუში •

ათეულები	ერთეულები	ათ. ერთ.
		2 4
		2 2
		2 6

ა)

ათეულები	ერთეულები

ბ)

ათეულები	ერთეულები

დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ ჯამი.

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 84 \\ + 3 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 32 \\ + 6 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 58 \\ + 1 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 62 \\ + 4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 21 \\ + 6 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 93 \\ + 2 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 44 \\ + 4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 80 \\ + 6 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 72 \\ + 7 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 82 \\ + 5 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 43 \\ + 5 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 36 \\ + 3 \\ \hline \end{array}$$

2. შეკრიბეთ რიცხვები ქვეშიწერით.

35 და 2

3 და 46


90 და 8

4 და 64


42 და 6

3. იპოვეთ ჯამი წინ დათვლით.

ა) $61 + 4$



ბ) $93 + 6$



4. იპოვეთ ჯამი რიცხვითი ღერძის გამოყენებით.

$14 + 5$

$32 + 3$


$93 + 6$

$48 + 1$

$81 + 3$


$67 + 2$

$41 + 5$





- ორნიშნა რიცხვის ათეულებად და ერთეულებად დაშლით, რიცხვების სამეულში გამოსახვითაც შეიძლება ჯამის პოვნა. ამ დროს ერთეულები და ათეულები ცალკე-ცალკე იკრიბება, შემდეგ კი მათი ჯამი გამოითვლება.



ერთეულები იკრიბება $5 + 3 = 8$
 ათეულები იკრიბება $40 + 0 = 40$
 ჯამი გამოითვლება $40 + 8 = 48$

$$45 + 3 = 48$$

ამ ხერხის გამოყენებით ჯამის ზეპირად პოვნა შეიძლება.

5. იპოვეთ ჯამი ათეულებად და ერთეულებად დაშლით.

$34 + 5$

$76 + 2$

$83 + 3$

$38 + 1$

$50 + 5$

$85 + 3$

$64 + 4$

6. იპოვეთ ჯამი ზეპირად. რამდენიმე პასუხის სისწორე ქვეშმოწერით შეამოწმეთ.

$91 + 4$

$47 + 1$

$80 + 9$

$52 + 2$


$42 + 5$

$23 + 6$

$57 + 2$

ამოცანის ამოხსნა


7. სამირმა მაგიდაზე 21 ფერადი და 5 უბრალო ფანქარი დაითვალა. რამდენი ფანქარია მაგიდაზე სულ?



8. ერთ ტომარაში 24 კგ, მეორეში კი მასზე 4 კგ-ით მეტი კარტოფილია. რამდენი კილოგრამი კარტოფილია მეორე ტომარაში?



9. თაგვი ყველთან ორი გზით შეიძლება მივიდეს. რომელი გზაა უფრო მოკლე: ლურჯი თუ წითელი?



გამოკვლევა-განხილვა



საკვანძო სიტყვები

- ათეულების ჯამი
- წინ დათვლა


ბებია ესმერმა თეთრი და ყავისფერი კვერცხები გააცალკევა და ათ-ათობით ყუთებში ჩააწყო.

- რამდენი თეთრი და რამდენი ყავისფერი კვერცხია?
- როგორ შეიძლება ვიპოვოთ კვერცხების საერთო რაოდენობა?


შესწავლა

ორნიშნა რიცხვების ჯამი, თუ ერთეულები ნულია, ათეულების ჯამის ტოლია. მაგალითად, $30 + 20 = ?$

ნაბიჯი 1. ერთეულები იკრიბება.



ნაბიჯი 2. ათეულები იკრიბება



3 ათეული + 2 ათეული = 5 ათეული

0 ერთეული + 0 ერთეული = 0 ერთეული

$$30 + 20 = 50$$

როგორ შეიძლება ვიპოვოთ წინ დათვლით $30 + 20$ ჯამი? უჩვენეთ რიცხვით ღერძზე.



მეგზური

გამოსახულებების შესაბამისად დაწერეთ მაგალითი და ამოხსენით.

• ნიმუში •

ათეული	ერთეული

$$\begin{array}{r} 40 \\ + 20 \\ \hline 60 \end{array}$$

ა)

ათეული	ერთეული

ბ)

ათეული	ერთეული

დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ ჯამი

$$\begin{array}{r} 10 \\ + 40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 50 \\ + 10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 60 \\ + 20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 30 \\ + 30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 20 \\ + 30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 40 \\ + 40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 80 \\ + 10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 40 \\ + 50 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 20 \\ + 70 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 50 \\ + 30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 60 \\ + 30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 20 \\ + 20 \\ \hline \end{array}$$



ზოგჯერ ერთ-ერთ შესაკრებში ერთეული ნულის ტოლია. მაგალითად, $34 + 20 = ?$ ამ შემთხვევაშიც ჯერ ერთეულები, შემდეგ კი ათეულები იკრიბება.

ნაბიჯი 1. ერთეულები იკრიბება.

ათეული	ერთეული

34

20

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 3 \quad 4 \\ + 2 \quad 0 \\ \hline 4 \end{array}$$

54

ნაბიჯი 2. ათეულები იკრიბება.

ათეული	ერთეული

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 3 \quad 4 \\ + 2 \quad 0 \\ \hline 5 \quad 4 \end{array}$$

3 ათეულები + 2 ათეულები = 5 ათეულები

4 ერთეულები + 0 ერთეულები = 4 ერთეულები

$$34 + 20 = 54$$



მოიფიქრე!

როგორ შეიძლება ვიპოვოთ წინ დათვლით $34 + 20$ ჯამი? უჩვენეთ რიცხვით ღერძზე.





2. იპოვეთ ჯამი.

$$\begin{array}{r} 26 \\ + 30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 60 \\ + 21 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 47 \\ + 40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 30 \\ + 52 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 88 \\ + 10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 54 \\ + 20 \\ \hline \end{array}$$

3. რიცხვით ღერძზე წინ დათვლით იპოვეთ ჯამი.

$20 + 20$

$30 + 10$


$25 + 20$

$44 + 10$


$57 + 30$

$36 + 40$

$23 + 50$



- შესაკრებების ათეულებად და ერთეულებად დაშლით, რიცხვების სამეულთა გამოსახვით ჯამის პოვნა შეიძლება.



ერთეულები იკრიბება: $4 + 0 = 4$
 ათეულები იკრიბება: $30 + 20 = 50$
 ჯამი გამოითვლება: $50 + 4 = 54$

$$34 + 20 = 54$$

ამ ხერხის გამოყენებით ჯამის ზეპირად პოვნა შეიძლება.

4. შესაკრებების ათეულებად და ერთეულებად დაშლით იპოვეთ ჯამი. რამდენიმე მაგალითი ამოხსენით ზეპირად.

$39 + 40$

$23 + 50$

$67 + 30$

$82 + 10$

$48 + 20$

$56 + 30$

$40 + 18$

$50 + 26$

ამოცანის ამოხსნა

5. ერთ ბიდონში 20 ლ, მეორეში-10 ლ რძეა. სულ რამდენი ლიტრი რძეა ორივე ბიდონში?



6. სეზინე ცხოვრობს 26 ნომერ სახლში. ანარის სახლი სეზინეს სახლის შემდეგ არის მე-10. რომელ ნომერ სახლში ცხოვრობს ანარი? ამოხსენით მაგალითის დაწერით.




7. მე-2 “ა” კლასში 30, მე-2 “ბ” კლასში კი 29 მოსწავლე სწავლობს. რამდენი მოსწავლე სწავლობს ორივე კლასში ერთად?

5 ორნიშნა რიცხვების შეკრება

გამოკვლევა-განხილვა



სება



ანანი

- რა თანხა აქვს თითოეულ ბავშვს?
- როგორ გამოვთვალოთ, რა თანხა აქვს ორივე ბავშვს ერთად?


საკვანძო სიტყვები

- ათეულების ჯამი
- ერთეულების ჯამი

შესწავლა


ერთეულების ნულისაგან განსხვავებული ორნიშნა რიცხვების შეკრებისათვის საერთო წესი გამოიყენება. ჯერ ერთეულები, შემდეგ ათეულები იკრიბება. მაგალითად, $45 + 23 = ?$

ნაბიჯი 1. ერთეულები იკრიბება.



$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 4 \ 5 \\ + 2 \ 3 \\ \hline 8 \end{array}$$

ნაბიჯი 2. ათეულები იკრიბება.



$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 4 \ 5 \\ + 2 \ 3 \\ \hline 6 \ 8 \end{array}$$

5 ერთ. + 3 ერთ. = 8 ერთ.


4 ათეული + 2 ათეული = 6 ათეული

$$45 + 23 = 68$$



მეგზური

დაწერეთ გამოსახულებების შესაბამისი მაგალითი და ამოხსენით.

• ნიმუში •



$$\begin{array}{r} 3 \ 3 \\ + 2 \ 4 \\ \hline 5 \ 7 \end{array}$$



დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ ჯამი.

$$\begin{array}{r} 2 \ 8 \\ + 4 \ 1 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 6 \ 5 \\ + 2 \ 4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 8 \ 3 \\ + 1 \ 4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 3 \ 6 \\ + 6 \ 2 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 5 \ 4 \\ + 2 \ 4 \\ \hline \end{array}$$


$$\begin{array}{r} 4 \ 2 \\ + 4 \ 5 \\ \hline \end{array}$$



- წინ დათვლით $45 + 23$ ჯამი ასე შეიძლება ვიპოვოთ:

ნაბიჯი 1. პირველი შესაკრებიდან დაწყებული მეორე შესაკრების ათეულების რაოდენობით ათ-ათობით წინ ითვლება: 45, 55, 65. ➡ $45 + 20 = 65$

ნაბიჯი 2. მეორე შესაკრების ერთეულების რაოდენობით წინ დაითვლება: 65, 66, 67, 68. ➡ $65 + 3 = 68$



43	44	45	46	47	48	49	50
53	54	55	56	57	58	59	60
63	64	65	66	67	68	69	70



$$45 + 23 = 68$$



2. იპოვეთ ჯამი წინ დათვლით.

$22 + 13$

$41 + 14$


$23 + 32$

$54 + 12$

$34 + 15$

$36 + 22$

- ორნიშნა რიცხვის ათეულებად და ერთეულებად დაშლით ჯამი ასე შეიძლება ვიპოვოთ:



4 ათ. 5 ერთ. 2 ათ. 3 ერთ.

ერთეულები იკრიბება: $5 + 3 = 8$
ათეულები იკრიბება: $40 + 20 = 60$
ჯამი გამოითვლება: $60 + 8 = 68$

$$45 + 23 = 68$$

ამ ხერხის გამოყენებით ჯამის ზეპირად პოვნა შეიძლება.



3. იპოვეთ ჯამი შესაკრებების ათეულებად და ერთეულებად დაშლით.

$51 + 47$

$26 + 53$

$61 + 38$

$64 + 14$

$22 + 46$

$43 + 41$

$65 + 23$

$35 + 53$

4. ზეპირად იპოვეთ ჯამი. რამდენიმე პასუხის სისწორე შეამოწმეთ ქვეშმიწერით.

$45 + 22$

$13 + 23$

$64 + 34$

$36 + 52$

$77 + 21$


$25 + 63$

$52 + 22$

$44 + 44$

ამოცანის ამოხსნა

5. აინურამ 25 სმ და 14 სმ-ის ორი ზოლი წვერიწვერ დააწება. რამდენი სანტიმეტრი გახდა მიღებული ზოლის სიგრძე?



6. გამყიდველმა ერთ დღეში 21 კგ მსხალი და მასზე 11 კგ-ით მეტი ვაშლი გაყიდა.

- რამდენი კილოგრამი ვაშლი გაყიდა გამყიდველმა?
- სულ რამდენი კილოგრამი ვაშლი და მსხალი გაყიდა გამყიდველმა?





განმავლობადობელი დავალებები

1. იპოვეთ ჯამი.

$$\begin{array}{r} 23 \\ + 4 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 66 \\ + 2 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 30 \\ + 7 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 42 \\ + 6 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 12 \\ + 7 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 51 \\ + 8 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 60 \\ + 20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 36 \\ + 50 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 30 \\ + 27 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 59 \\ + 20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 68 \\ + 30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 81 \\ + 10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 13 \\ + 25 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 43 \\ + 34 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 64 \\ + 14 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 44 \\ + 55 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 27 \\ + 22 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 72 \\ + 15 \\ \hline \end{array}$$

2. რიცხვით ღერძზე წინ დათვლით იპოვეთ ჯამი.

$34 + 5$

$90 + 7$

$50 + 30$


$20 + 60$

$30 + 43$

$63 + 30$

$35 + 22$

$41 + 46$



3. შესაკრებების ათეულებად და ერთეულებად დაშლით იპოვეთ ჯამი. რამდენიმე მაგალითი ამოხსენით ზეპირად.

$46 + 13$

$25 + 40$

$87 + 10$

$74 + 20$

$62 + 26$

$40 + 50$

$80 + 4$

$63 + 33$

$75 + 11$

$44 + 55$

$93 + 4$

$65 + 23$

$86 + 2$

$20 + 70$

$43 + 16$

$22 + 35$

4. რომელი რიცხვები უნდა იყოს ცარიელ უჯრებში?

შესაკრები	23	17	92	20	58	71	26	5	33
შესაკრები	13	10	5	60	21	4	51	82	46
ჯამი									

5. დაწერეთ შესაბამისი მაგალითები.


ა) შესაკრებებიდან ერთი ოცდაათია, მეორე კი რვა. იპოვეთ ჯამი.

ბ) იპოვეთ რიცხვების ოცდახუთისა და ორმოცდაორის ჯამი.


გ) იპოვეთ რიცხვების სამოცისა და ოცდასამის ჯამი.

დ) იპოვეთ სამოცდაათზე ათი ერთეულით მეტი რიცხვი.


6. სასწორის თევშების გათანაბრებისათვის მარცხენა თევშზე რამდენი კუბის დამატებაა საჭირო? ცარიელ უჯრებში ჩაწერეთ შესაბამისი რიცხვები.



$$24 + \square = 34$$



$$31 + \square = 39$$



$$41 + \square = 54$$

7. გამოთვალეთ და შეადარეთ.

$$51 + 23 * 60$$

$$12 + 30 * 20 + 22$$

$$17 + 61 * 43 + 25$$

$$75 + 23 * 66 + 33$$

8. ბავშვებმა სადღესასწაულოდ საკლასო ოთახში 30 წითელი და 24 ყვითელი დროშა დაკიდეს. სულ რამდენი დროშა დაკიდეს ბავშვებმა საკლასო ოთახში?



9. საფანქრეში ფანქრების რაოდენობა მაგიდაზე მყოფ ფანქრებზე 21-ით მეტია. რამდენი ფანქარია საფანქრეში?





10. პიჯაკის ფასი 43 მანათია. ეს პალტოს ფასზე 25 მანათით ნაკლებია. რა ღირს პალტო?



გაისვენეთ

- რიცხვების სამეული



$$14 - 8 = 6$$

$$6 + 8 = 14$$

$$14 - 6 = 8$$

$$8 + 6 = 14$$

- შეკრების მოქმედების შედეგის გამოკლებით, ხოლო გამოკლების მოქმედების შედეგის კი შეკრებით შემოწმება შეიძლება. მაგალითად,

$$14 + 5 = 19 \rightarrow 19 - 5 = 14$$

$$17 - 4 = 13 \rightarrow 13 + 4 = 17$$

- ქვეშმიწერით გამოკლება

$$\begin{array}{r} \text{ათ. ერთ.} \\ 1 \ 7 \rightarrow \text{საკლები} \\ - \ 5 \rightarrow \text{მაკლები} \\ \hline 1 \ 2 \rightarrow \text{სხვაობა} \end{array}$$

- 10 ერთეულით შემცირება


$$13 - 10 = 3 + 10 - 10 = 3$$

- 10-მდე შემცირებით გამოკლება

$$13 - 5 = 13 - 3 - 2 = 8$$

- უკუთვლით გამოკლება: $19 - 3$

19-დან 3 ერთეულის უკან დათვლით 16 მიიღება: 18, 17, 16 $\rightarrow 19 - 3 = 16$



დავალებები გამომწვევისათვის

- იპოვეთ სხვაობა.

$$17 - 7$$

$$18 - 4$$

$$13 - 5$$

$$17 - 0$$

$$12 - 9$$

$$17$$

$$18$$

$$15$$

$$19 - 10$$

$$15 - 3$$

$$14 - 14$$

$$16 - 8$$





$$19 - 7$$

$$17$$



$$18$$

$$15$$



2. სასწორის თევზების გათანაბრებისათვის რამდენი კუბის აღება ან დამატებაა საჭირო? იპოვეთ ცარიელი უჯრების შესაბამისი რიცხვები.



3. განსაზღვრეთ ცარიელი უჯრების შესაბამისი რიცხვები.



4. დაწერეთ მაგალითები შეკრებისა და გამოკლების კავშირის შესახებ.



5. იპოვეთ უცნობი.

$14 - \square = 9$	$16 - \square = 8$	$13 - \square = 9$	$17 - \square = 17$	$15 - \square = 7$	$11 - \square = 8$
$12 - \square = 5$	$18 - \square = 2$	$15 - \square = 10$	$\square - 5 = 12$	$\square - 7 = 5$	$\square - 4 = 11$

6. რომელი რიცხვები უნდა იყოს ცარიელ უჯრებში?

შესაკრები	17		6	9	19
შესაკრები	3	6		7	
ჯამი		16	18		20

საკლები	15	16		13	
მაკლები	5		4		7
სხვაობა		9	16	5	12

7. სამირმა თევზზე არსებული ქუთაბებიდან 3 ცალი შეჭამა. დარჩა 8 ცალი. რამდენი ქუთაბი იყო თევზზე?



6 ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვის სხვაობა

გამოკვლევა-განხილვა



საკვანძო სიტყვები

- ქვეშიწერით გამოკლება
- ათეულების სხვაობა
- ერთეულების სხვაობა
- უკუთვლა

მაგიდაზე 24 მძივი იყო. აინურას ამ მძივებისაგან ყელსაბამის აკინძვის შემდეგ 3 მძივი ზედმეტი დარჩა.

- რამდენი მძივისაგან დაამზადა აინურამ ყელსაბამი?

შესწავლა

ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვის სხვაობის პოვნისათვის ჯერ ერთეულს ერთეული, შემდეგ კი ათეულს ათეული აკლდება. მაგალითად, $36 - 4 = ?$

ნაბიჯი 1. ერთეულს ერთეული აკლდება. ნაბიჯი 2. ათეულს ათეული აკლდება.

ათეულები	ერთეულები

$$\begin{array}{r} \text{ათ.} \quad \text{ერთ.} \\ 3 \quad 6 \\ - \quad 4 \\ \hline 2 \end{array}$$

ათეულები	ერთეულები

$$\begin{array}{r} \text{ათ.} \quad \text{ერთ.} \\ 3 \quad 6 \\ - \quad 4 \\ \hline 3 \quad 2 \end{array}$$

6 ერთეული - 4 ერთეული = 2 ერთეული 3 ათეული - 0 ათეული = 3 ათეული

$$36 - 4 = 32$$



როგორ შეიძლება უკუთვლით $36 - 4$

სხვაობის პოვნა? უჩვენეთ რიცხვით ღერძზე.



მეგზური

დაწერეთ
გამოსახულებების
შესაბამისი
მაგალითები და
ამოხსენით.

• ნიმუში •

ათეულები	ერთ-ები	
		$\begin{array}{r} 2 \quad 5 \\ - \quad 3 \\ \hline 2 \quad 2 \end{array}$

ა)

ათეულები	ერთ-ები

ბ)


ათეულები	ერთ-ები

დამოუკიდებელი სამუშაო


1. იპოვეთ სხვაობა.

ათ. ერთ. $\begin{array}{r} 35 \\ - 1 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 36 \\ - 5 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 64 \\ - 3 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 89 \\ - 7 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 43 \\ - 3 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 68 \\ - 5 \\ \hline \end{array}$
ათ. ერთ. $\begin{array}{r} 97 \\ - 5 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 29 \\ - 9 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 57 \\ - 4 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 76 \\ - 2 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 28 \\ - 4 \\ \hline \end{array}$	ათ. ერთ. $\begin{array}{r} 39 \\ - 6 \\ \hline \end{array}$

2. იპოვეთ სხვაობა რიცხვითი ღერძის გამოყენებით.



- ორნიშნა რიცხვის ათეულებად და ერთეულებად დაშლით და რიცხვების სამეულების გამოსახვითაც შეიძლება სხვაობის პოვნა. ამ დროს ერთეულები და ათეულები ცალკე-ცალკე აკლდება, შემდეგ კი პასუხები იკრიბება.



ერთეულები აკლდება: $6 - 4 = 2$
 ათეულები აკლდება: $30 - 0 = 30$
 პასუხები იკრიბება: $30 + 2 = 32$

$$36 - 4 = 32$$

ამ ხერხის გამოყენებით სხვაობის ზეპირად პოვნა შეიძლება.



3. იპოვეთ სხვაობა საკლების ათეულებად და ერთეულებად დაშლით.

$29 - 3$ $57 - 6$ $95 - 4$ $82 - 2$ $66 - 3$ $46 - 4$ $59 - 7$ $61 - 1$ $38 - 5$

4. იპოვეთ სხვაობა ზეპირად. რამდენიმე პასუხის სისწორე შეამოწმეთ ქვეშმიწერით გამოკლებით.

$25 - 3$ $37 - 5$ $69 - 8$ $45 - 1$ $58 - 7$ $99 - 9$ $75 - 3$ $87 - 4$ $48 - 5$

ამოცანის ამოხსნა

- ლალეს 45 კაპიკი აქვს. რამდენი კაპიკი დარჩება მას, თუ ის ხუთ კაპიკს მმას მისცემს?
- სამირს 27 სათამაშო მანქანა აქვს. აქედან 6 ლურჯი, დანარჩენი კი წითელი ფერისაა. რამდენი წითელი მანქანა აქვს სამირს?



7 ათეულების გამოკლება

გამოკვლევა-განხილვა



საკვანძო სიტყვები

- ათეულების სხვაობა
- უკუთვლა

დედამ ანარის დაბადების დღეზე თითოეულში 10 შოკოლადიანი სამი ყუთი იყიდა. დაბადების დღეზე მოსული 20 ბავშვიდან თითოეულმა ერთი შოკოლადი შეჭამა.

- რამდენი შოკოლადი დარჩა ზედმეტი? როგორ შეიძლება ამის პოვნა?

შესწავლა

ორნიშნა რიცხვების სხვაობა, თუ ერთეულები ნულია ათეულების სხვაობის ტოლია. მაგალითად, $30 - 20 = ?$

ნაბიჯი 1. ერთეულს ერთეული აკლდება.

ათეულები	ერთეულები

ათ.	ერთ.
3	0
- 2	0
	0

ნაბიჯი 2. ათეულს ათეული აკლდება.

ათეულები	ერთეულები

ათ.	ერთ.
3	0
- 2	0
1	0

0 ერთეული - 0 ერთეული = 0 ერთეული 3 ათეული - 2 ათეული = 1 ათეული

$$30 - 20 = 10$$



მოიფიქრე!

როგორ შეიძლება ვიპოვოთ უკუთვლით $30 - 20$ სხვაობა? უჩვენეთ რიცხვით ღერძზე.



მეგზური

გამოსახულებების შესაბამისად დაწერეთ მაგალითები და ამოხსენით.

• ნიმუში •

ათეულები	ერთ-ები

5	0
- 2	0
3	0

ა)

ათეულები	ერთ-ები

ბ)

ათეულები	ერთ-ები

დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ სხვაობა.

$$\begin{array}{r} 20 \\ -10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 60 \\ -30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 80 \\ -50 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 90 \\ -20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 50 \\ -40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 70 \\ -20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 90 \\ -70 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 50 \\ -50 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 80 \\ -30 \\ \hline \end{array}$$


$$\begin{array}{r} 90 \\ -60 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 70 \\ -30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 40 \\ -30 \\ \hline \end{array}$$


- ზოგჯერ მხოლოდ მაკლების ერთეულების რაოდენობაა 0-ის ტოლი. მაგალითად, $37 - 20 = ?$ ამ შემთხვევაშიც პასუხის პოვნისათვის:

ნაბიჯი 1. ერთეულს ერთეული აკლდება.



$$\begin{array}{r} \text{ათ.} \quad \text{ერთ.} \\ 3 \quad 7 \\ -2 \quad 0 \\ \hline 1 \quad 7 \end{array}$$

ნაბიჯი 2. ათეულს ათეული აკლდება.



$$\begin{array}{r} \text{ათ.} \quad \text{ერთ.} \\ 3 \quad 7 \\ -2 \quad 0 \\ \hline 1 \quad 7 \end{array}$$


7 ერთეული - 0 ერთეული = 7 ერთეული

3 ათეული - 2 ათეული = 1 ათეული

$$37 - 20 = 17$$



როგორ შეიძლება უკუთვლით ვიპოვოთ $37 - 20$ სხვაობა? უჩვენეთ რიცხვით ღერძზე.



მოიფიქრე!



2. გამოთვალეთ.

$$\begin{array}{r} 45 \\ -20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 78 \\ -40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 99 \\ -10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 71 \\ -70 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 56 \\ -30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 82 \\ -50 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 27 \\ -10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 93 \\ -60 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 38 \\ -30 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 81 \\ -70 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 46 \\ -40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 77 \\ -60 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 39 \\ -20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 62 \\ -40 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 59 \\ -20 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 95 \\ -60 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 29 \\ -10 \\ \hline \end{array}$$

$$\begin{array}{r} 82 \\ -20 \\ \hline \end{array}$$



ა მოსწავლე ა მოცანები

დაიბადოსო



- გაიზარე ამოცანა
- შეაღებინე გეგმა
- ამოხსენი
- შეამოწმე

1. სკოლის ეზოში დასარგავად 39 ხე მოიტანეს. ხეების დარგვის შემდეგ 8 ხე ზედმეტი დარჩა. რამდენი ხე დაირგო სკოლის ეზოში?



2. შარვალი 35 მანათი ღირს. პერანგი მასზე სამი მანათით იაფია.
 - რა ღირს პერანგი?
 - რამდენი მანათის გადახდაა საჭირო ერთი შარვლისა და ერთი პერანგის შესაძენად?

3. სეზინემ ბიბლიოთეკიდან 80 გვერდიანი მოთხრობების წიგნი აიღო. მან რამდენიმე დღეში წიგნის 40 გვერდი წაიკითხა. კიდევ რამდენი გვერდი უნდა წაიკითხოს სეზინემ წიგნის წაკითხვის დამთავრებისათვის?



4. ბაქოში ექსკურსიაზე მოსული მოსწავლეები ათეშგაჰში და იჩერიშეჰერში წაიყვანეს. სულ 74 მოსწავლე იყო. პირველ დღეს მათგან 30-მა ათეშგაჰი, დანარჩენებმა კი იჩერიშეჰერი მოიარა. რამდენი მოსწავლე წავიდა იჩერიშეჰერში?



5. ანარიმ ასანთის ღერების ერთმანეთზე დაწებებით სახლი დაამზადა. ამისათვის მან 34 მწვანე და მასზე 2-ით ნაკლები ყავისფერი ღერი გამოიყენა. სულ რამდენი ასანთის ღერი გამოიყენა ანარიმ?



8 ორნიშნა რიცხვების სხვაობა

გამოკვლევა-განხილვა



ლალეს თითოეულში 10 ფურცლიანი სამი ყუთი ფერადი და 8 ცალი თეთრი ქაღალდი ჰქონდა. მან აპლიკაციისათვის ორი ყუთი და 4 ცალი თეთრი ფურცელი გამოიყენა.

საკვანძო სიტყვები


- ათეულების სხვაობა
- ერთეულების სხვაობა

- რამდენი ყუთი ფერადი ქაღალდი დარჩა ლალეს?
- რამდენი ცალი თეთრი ქაღალდი დარჩა მას?
- სულ რამდენი ფერადი და თეთრი ქაღალდი დარჩა ლალეს?


შესწავლა

ორნიშნა რიცხვების სხვაობის პოვნისათვის, ჯერ ერთეულს ერთეული, შემდეგ კი ათეულს ათეული აკლდება. მაგალითად, $58 - 23 = ?$

ნაბიჯი 1. ერთეულის ერთეული აკლდება. ნაბიჯი 2. ათეულს ათეული აკლდება.



ათ.	ერთ.
5	8
- 2	3
	5




ათ.	ერთ.
5	8
- 2	3
3	5

$58 - 23 = 35$



8 ერთეული - 3 ერთეული = 5 ერთეული 5 ათეული - 2 ათეული = 3 ათეული

მეგზური

დაწერეთ გამოსახულებების შესაბამისი მაგალითები და ამოხსენით.



3	5
- 1	2
2	3



დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ სხვაობა.

5	4
- 4	2

7	9
- 2	3

8	9
- 4	5

6	5
- 5	2

3	2
- 1	1

8	5
- 6	3

4	2
- 2	2

6	9
- 6	1

7	8
- 4	5

7	6
- 6	1

3	3
- 1	3

4	9
- 2	6

9	7
- 8	2



- უკუთვლით $58 - 23$ სხვაობის პოვნა ასე შეიძლება:


ნაბიჯი 1. საკლებიდან დაწყებული მაკლების ათეულების რაოდენობით ათ-ათობით უკან დაითვლება:

$$58, \underline{48}, \underline{38} \Rightarrow 58 - 20 = 38$$

ნაბიჯი 2. პასუხიდან მაკლების ერთეულების რაოდენობით უკან დაითვლება:

$$38, \underline{37}, \underline{36}, \underline{35} \Rightarrow 38 - 3 = 35$$

20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50
50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60



$$58 - 23 = 35$$



2. იპოვეთ სხვაობა უკუთვლით.

$48 - 14$

$59 - 21$

$75 - 12$


$55 - 34$

$59 - 11$

$37 - 13$

$98 - 18$

- საკლებისა და მაკლების ათეულებად და ერთეულებად დაშლით, რიცხვების სამეულებში გამოსახვით სხვაობა ასე შეიძლება ვიპოვოთ:



ერთეულები აკლდება: $8 - 3 = 5$
 ათეულები აკლდება: $50 - 20 = 30$
 პასუხები იკრიბება: $30 + 5 = 35$

$$58 - 23 = 35$$



ამ ხერხის გამოყენებით სხვაობის ზეპირად პოვნა შეიძლება.

3. იპოვეთ სხვაობა რიცხვების ათეულებად და ერთეულებად დაშლით. რამდენიმე მაგალითი ამოხსენით ზეპირად.

$38 - 23$

$74 - 12$

$59 - 54$

$94 - 13$

$66 - 24$

$48 - 34$

$59 - 39$

$67 - 25$

4. იპოვეთ სხვაობა ქვეშმიწერით.

$46 \text{ და } 12$

$68 \text{ და } 44$

$95 \text{ და } 72$

$76 \text{ და } 55$

$87 \text{ და } 34$

5. გამოთვალეთ და შეადარეთ.

$45 - 11 * 33$

$68 - 46 * 24$



$89 - 26 * 32$

$46 - 14 * 33$





მთელი და მისი ნაწილები შეკრებისა და გამოკლების მოქმედებითაა დაკავშირებული.



$$34 + 12 = 46$$

$$12 + 34 = 46$$

$$46 - 34 = 12$$

$$46 - 12 = 34$$



6. დაწერეთ მაგალითები შეკრებისა და გამოკლების კავშირის შესახებ.

39		58		46		85	
28	11	24	34	26	20	81	4

7. იპოვეთ ცარიელი უჯრების შესაბამისი რიცხვები.

$$53 + 41 = \square$$

$$41 + \square = 94$$

$$\square - 41 = 53$$

$$94 - \square = 41$$

$$40 + \square = 85$$

$$45 + 40 = \square$$

$$\square - 40 = 45$$

$$85 - \square = 40$$

$$75 + 4 = \square$$

$$4 + \square = 79$$

$$\square - 4 = 75$$

$$79 - \square = 4$$

8. განსაზღვრეთ მოცემულ რიცხვებს შორის მთელითა და მისი ნაწილებით შექმნილი რიცხვების სამეულები. ამ რიცხვების სამეულების გამოყენებით დაწერეთ შეკრებისა და გამოკლების შესახებ შესაბამისი მაგალითები.

ა) 14, 25, 30, 39

ბ) 5, 42, 47, 48

გ) 25, 32, 44, 69

ამოცანის ამოხსნა

9. სამირმა საფულეში არსებული ფულიდან 25 კაპიკად ფანქარი შეიძინა. ის ფიქრობდა, რომ 35 კაპიკი დარჩა. სწორად ფიქრობდა სამირი? როგორ შეიძლება ამის შემოწმება?



10. სკოლის ავტობუსით ექსკურსიაზე წასული 35 მგზავრიდან 12 მშობელი, დანარჩენი მოსწავლე იყო.

- რამდენი მოსწავლე იყო ავტობუსში?
- მოსწავლეებიდან 10 გოგონაა, დანარჩენი ბიჭია. მოსწავლეებიდან რამდენია ბიჭი?



განმავრცელებელი დავამუშავებ

1. იპოვეთ სხვაობა.

$\begin{array}{r} 39 \\ - 5 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 83 \\ - 2 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 47 \\ - 6 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 99 \\ - 8 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 66 \\ - 3 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 78 \\ - 2 \\ \hline \end{array}$
$\begin{array}{r} 60 \\ - 40 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 38 \\ - 30 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 50 \\ - 40 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 65 \\ - 10 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 75 \\ - 20 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 87 \\ - 50 \\ \hline \end{array}$
$\begin{array}{r} 48 \\ - 15 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 76 \\ - 73 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 98 \\ - 26 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 85 \\ - 53 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 58 \\ - 12 \\ \hline \end{array}$	$\begin{array}{r} 76 \\ - 34 \\ \hline \end{array}$

2. იპოვეთ სხვაობა უკუთვლით.

$80 - 40$	$77 - 5$	$61 - 30$	$76 - 20$	$39 - 8$	$93 - 40$	$35 - 30$
-----------	----------	-----------	-----------	----------	-----------	-----------

3. იპოვეთ სხვაობა რიცხვების ათეულებად და ერთეულებად დაშლით. რამდენიმე მაგალითი ამოხსენით ზეპირად.

$47 - 5$	$50 - 20$	$79 - 26$	$84 - 34$	$87 - 35$	$96 - 24$
$77 - 4$	$96 - 20$	$65 - 60$	$94 - 61$	$58 - 34$	$85 - 25$

4. დაწერეთ შესაბამისი მაგალითები და ამოხსენით.

- იპოვეთ სამოცდაცამეტისა და ორმოცდაორის სხვაობა.
- იპოვეთ სხვაობა, თუ საკლები ოცდათვრამეტია, მაკლები კი თვრამეტი.
- იპოვეთ სხვაობა, თუ საკლები სამოცდახუთია, მაკლები კი ორმოცდაცამეტი.
- იპოვეთ ოთხმოცდაჩვიდმეტზე ოცდაექვსი ერთეულით ნაკლები რიცხვი.




5. რომელი რიცხვები უნდა იყოს ცარიელ უჯრებში?

საკლები	55	28		76	45		86
მაკლები	10		30		3	6	
სხვაობა		15	40	20		62	26

6. გამოთვალე და შეადარე.

$78 - 5 * 75$	$38 - 4 * 31$	$41 + 7 * 24 + 25$	$78 - 38 * 41 + 1$
$64 - 4 * 60$	$49 - 17 * 32$	$56 - 24 * 20 + 2$	$64 + 20 * 40 + 45$

7. სასწორის თევშების გაწონასწორებისათვის რამდენი კუბის აღება ან დამატებაა საჭირო? იპოვეთ ცარიელი უჯრების შესაბამისი რიცხვები.



8. სამირის დედა მამაზე 4 წლით უმცროსია. მამამისი 38 წლისაა. რამდენი წლისაა დედა?

9. ბიბლიოთეკაში 48 წიგნი მოიტანეს. მათ შორის 23 ცხოველების შესახებ, დანარჩენი კი ზღაპრების წიგნები იყო. რამდენი ზღაპრის წიგნი მოიტანეს ბიბლიოთეკაში?




10. ანარიმ და ლალემ თითოეულმა თითო რიცხვი ჩაიფიქრა.

- ლალეს ჩაფიქრებული რიცხვი 78-ზე 40 ერთეულით ნაკლებია. რა რიცხვი ჩაიფიქრა ლალემ?
- ანარის ჩაფიქრებული რიცხვი კი 32-ზე 13 ერთეულით მეტია. რა რიცხვი ჩაიფიქრა მან?
- რომლის ჩაფიქრებული რიცხვია უფრო მეტი?



11. ბავშვებმა ბაღიდან 38 კგ ვაშლი მოკრივეს. მას შემდეგ რაც ჩააწყვეს ვაშლი 3 კალათაში, თითოეულში 10 კგ, დანარჩენი ვაშლი ჩააწყვეს მე-4 კალათაში.

- რამდენი კილოგრამი ვაშლი ჩააწყვეს ბავშვებმა მე-4 კალათაში?
- კიდევ რამდენი კილოგრამი ვაშლის მოკრეფაა საჭირო მე-4 კალათის ასავსებად?



გამრავლება და გაყვრა



მზად ვართ?

- რამდენი მეთევზეა სურათზე? რამდენი თევზი დაუჭერია თითოეულ მეთევზეს?
- სულ რამდენი თევზი დაუჭერიათ მეთევზეებს? როგორ შეიძლება ამის პოვნა შეკრებით?
- რამდენი ვედროა? რამდენი თევზი იქნება თითოეულ ვედროში, თუ თევზებს ვედროებში თანაბრად გაანაწილებენ? როგორ შეიძლება ამის პოვნა?

9 გამეორებითი შეკრება

გამოკვლევა-განხილვა



ლაღემ ბალიდან მოკრეფილი ვაშლები თეფშებზე დააწყო.


- სულ რამდენი ვაშლია თეფშებზე?
- როგორ შეიძლება ამის უფრო სწრაფად პოვნა?

საკვანძო სიტყვები

- საგნების ჯგუფი
- ჯგუფების რაოდენობა
- გამეორებითი შეკრება
- რიტმული თვლა

შესწავლა

თუ რამდენიმე ჯგუფში ტოლი რაოდენობის საგანია, მათი საერთო რაოდენობა რიტმული დათვლით ანუ გამეორებითი შეკრებით შეიძლება ვიპოვოთ.




თითოეულ ჯგუფში ბუშტების რაოდენობა: **2** ჯგუფების რაოდენობა: **4**

• რიტმული დათვლით: 2, 4, 6, 8

• ჯგუფების რაოდენობით განმეორებითი შეკრებით:

$$\underbrace{2 + 2 + 2 + 2}_{4} = 8$$



თითოეულ ჯგუფში 2 ბუშტით 4 ჯგუფში სულ 8 ბუშტია.

მეგზური


გამეორებითი შეკრებით იპოვეთ რაოდენობა. შეამოწმეთ პასუხი რიტმული დათვლით.

• ნიშნები •



$$3 + 3 + 3 + 3 + 3 = 15$$

შემონებები: 3, 6, 9, 12, 15




ა)



ბ)



გ)




დამოუკიდებელი სამუშაო

- განსაზღვრეთ ჯგუფებისა და თითოეულ ჯგუფში საგნების რაოდენობა. იპოვეთ საგნების საერთო რაოდენობა.

ა)



ბ)




- გამეორებითი შეკრების შესახებ მაგალითის დაწერით გამოთვალეთ წერტილების რაოდენობა.


ა)



ბ)



გ)



- ამოხსენით მაგალითები. შეამოწმეთ თქვენი პასუხი რიტმული დათვლით.

ა)

$$2 + 2$$

$$2 + 2 + 2$$

$$2 + 2 + 2 + 2$$

$$2 + 2 + 2 + 2 + 2$$

$$2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2$$

ბ)

$$3 + 3$$

$$3 + 3 + 3$$

$$3 + 3 + 3 + 3$$

$$3 + 3 + 3 + 3 + 3$$

$$3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3$$

გ)

$$4 + 4$$

$$4 + 4 + 4$$

$$4 + 4 + 4 + 4$$

$$4 + 4 + 4 + 4 + 4$$

$$4 + 4 + 4 + 4 + 4 + 4$$

ამოცანის ამოხსნა

- ანარიმ ალბომის 6 გვერდიდან თითოეულზე 5 მანქანის სტიკერი დააწება. სულ რამდენი სტიკერი დააწება მან ალბომში?



- ელხანს, ლალესა და სეზინეს თითოეულს 7 მანათი აქვს. მათ სამირის დაბადების დღეზე 20 მანათიანი საჩუქრის შეძენა სურდათ. ეყოფათ ბავშვებს ეს ფული ამ საჩუქრის შესაძენად?



20 ₾

10 გამრავლება

გამოკვლევა-განხილვა



საკვანძო სიტყვები

- გამრავლება
- ჯერ
- მამრავლი
- ნამრავლი

სკოლის სასადილოში 6 მაგიდაა. ყოველ მაგიდასთან შეიძლება დაჯდეს ოთხი მოსწავლე.

- რამდენი მოსწავლე შეიძლება დაჯდეს ერთდროულად სკოლის სასადილოში?
- როგორ შეიძლება ამის პოვნა?

შესწავლა

გამეორებითი შეკრების გამრავლების მოქმედებით გამოსახვაც შეიძლება.



მაგალითად, ჯგუფში საგნების რაოდენობის გამეორებითი შეკრებით მათი საერთო რაოდენობა ასე გამოითვლება:

$$\underbrace{3 + 3 + 3 + 3}_{4} = 12$$

ეს გამრავლების მოქმედებით ასე შეიძლება ჩავწეროთ:

გამრავლების ნიშანი

$$4 \cdot 3 = 12$$

↑ ↑ ↑
მამრავლი მამრავლი ნამრავლი

სიტყვით ასე წარმოითქმება:

- ოთხი გავამრავლოთ სამზე ტოლია თორმეტის.
- ოთხჯერ სამი თორმეტის ტოლია.
- ოთხისა და სამის ნამრავლი თორმეტის ტოლია.
- ოთხის სამმაგი თორმეტის ტოლია.

აქ: 4 - ჯგუფების, 3 - თითოეულ ჯგუფში საგნების, 12 კი - საგნების საერთო რაოდენობაა.

ნამრავლების ნიშანი "×" სახითაც იწერება:

$$4 \times 3 = 12$$



როგორ შეიძლება რიტმული დათვლით ვიპოვოთ $4 \cdot 3$ ნამრავლი?

მეგზური

იპოვეთ ნამრავლი გამეორებითი შეკრებით.

• ნამუში •



$$4 + 4 + 4 = 12$$

$$3 \cdot 4 = 12$$

ა)



$$5 + 5 + 5 + 5 + 5 + 5 = ?$$

$$6 \cdot 5 = ?$$

ბ)



$$3 + 3 + 3 + 3 + 3 = ?$$

$$5 \cdot 3 = ?$$

დამოუკიდებელი სამუშაო

1. იპოვეთ ჯამი და ნამრავლი.




$$4 + 4 + 4 + 4 = ?$$

$$4 \cdot 4 = ?$$



$$5 + 5 + 5 + 5 + 5 = ?$$

$$5 \cdot 5 = ?$$



$$6 + 6 + 6 = ?$$


$$3 \cdot 6 = ?$$

2. რამდენი ჯგუფია? რამდენი მწერია თითოეულ ჯგუფში? დაწერეთ მაგალითი მწერების საერთო რაოდენობის პოვნისა და შესაბამისი გამრავლების მოქმედების შესახებ.

ა)



ბ)



ამოცანის ამოხსნა

